Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement EJPD
Staatsekretariat für Migration SEM

ადამიანებით ვაჭრობა და ძალადობის სხვა ფორმები

დაიცავი საკუთარი თავი!

- ✗ **გაიძულებენ გააკეთო ის, რაც არ გინდა?**
- ✗ **გითვალთვალებენ ან გაკონტროლებენ?**
- ✗ **ძალადობის ან მუქარის მსხვერპლი ხარ?**
- ✗ **გიზღუდავენ გადაადგილების თავისუფლებას?**

თუ გესაჭიროება დახმარება

შეგიძლია მიიღო აქ:

რაზეა საუბარი?

სარგებლის მისაღებად, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პირი, ბოროტად იყენებს მშობლიური ქვეყნიდან გამოქცეული ადამიანების სისუსტეს და დაუცველობას. ამიტომ, ეს ადამიანები, განსაკუთრებით კი ქალები და ბავშვები, განსაკუთრებულ რისკებს ექვემდებარებიან.

როგორ უნდა დაიცვათ თავი ასეთი რისკებისგან?

თქვენ შეიძლება დაგეხმაროთ რამოდენიმე მარტივი უსაფრთხოების ზომა:

- არ ენდოთ მხადაჭერის და სამუშაოს ზედმეტად გულუხვ შემოთავაზებას.
- არასოდეს გადასცეთ თქვენი სამგზავრო საბუთები სხვა პირებს, გარდა შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლებისა.
- შეინახეთ თქვენი პირადობის დამადასტურებელი საბუთის ფოტო თქვენს მობილურ ტელეფონში, და ამ ფოტოს ასლი გადაუგზავნეთ მეგობარს ან/და თქვენი ოჯახის წევრს.
- ყოველთვის თან იქონიეთ სანდო ადამიანების საკონტაქტო მონაცემები, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაგიწიონ შვეიცარიაში იმ შემთხვევაში, თუ დაკარგავთ თქვენს ტელეფონს ან პირად ნივთებს.
- შეატყობინეთ თქვენს მეგობრებს ან/და თქვენს ოჯახს თქვენი ადგილსამყოფელის და გადაადგილებების შესახებ.
- სატრანსპორტო საშუალებაში ჩაჯდომამდე, გადაუღეთ ფოტო სანომრე ნიშანს და გადაუგზავნეთ იგი თქვენს მეგობრებს ან/და თქვენი ოჯახის წევრებს. არ ჩაჯდეთ სატრანსპორტო საშუალებაში, თუკი მძღოლი არ მოგცემთ ფოტოს გადაღების საშუალებას.
- დატოვეთ საცხოვრებელი ადგილი, სადაც თავს დაცულად ვერ გრძნობთ, და დაუყოვნებლივ მიმართეთ დახმარებას (იხ. ქვემოთ).

სად შეიძლება მოითხოვოთ დახმარება შვეიცარიაში?

არ დააყოვნოთ და მიმართეთ სახელისუფლებო ორგანოებს:

- **თავშესაფრის მომთხოვნთა ფედერალურ ცენტრში (BAZ)**
  დაეკონტაქტეთ ცენტრის დაცვის სამსახურის პერსონალს ან ცენტრში განთავსების პასუხისმგებელ პირს.
- **კანტონებში**
  start - Victim Support Switzerland (opferhilfe-schweiz.ch)
- **საგანგებო სიტუაციებში**

პოლიცია	117
სასწრაფო დახმარება	144